



საქართველოს კონტროლის პალატა

შესაძლებლობების განვითარების 2010-2011 წლების გეგმა

თბილისი
2010

შესავალი

საქართველოს კონტროლის პალატა, როგორც უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტი, არსებით როლს ასრულებს საზოგადოების წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის განმტკიცებაში, რაც თავის მხრივ მოითხოვს საქმიანობის წარმართვას მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

კონსტიტუციური მანდატის ეფექტიანად და ჯეროვნად შესრულებისთვის აუცილებელია კონტროლის პალატის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.

შესაძლებლობები აერთიანებს ინსტიტუტის უნარს, ცოდნას, სტრუქტურასა და საქმიანობის წესს, რომლებიც განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობას. შესაძლებლობების განვითარება გულისხმობს თითოეული კომპონენტის გაუმჯობესებას, არსებულ საუკეთესო მაგალითზე დაყრდნობას და სისუტეების აღმოფხვრას.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის კანონით განსაზღვრული ახალი მანდატის გათვალისწინებით, საქართველოს კონტროლის პალატა ახალი გამოწვევების წინაშეა. გამოწვევები კომპლექსური ხასიათისაა და განვითარების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბების საშუალებით დაკავშირებულია როგორც ინსტიტუტის პროფესიული, ასევე ორგანიზაციული შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან. საქართველოს კონტროლის პალატამ შეიმუშავა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებსაც წინამდებარე „შესაძლებლობების განვითარების 2010-2011 წლების გეგმა“ ეფუძნება. კერძოდ, კონტროლის პალატის განვითარების სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია საქართველოს კონტროლის პალატის სტრატეგიული განვითარების 2009-2011 წლების გეგმით, 2010 წლის განმავლობაში კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად კი დამტკიცებულია 2010 წლის აუდიტის სამუშაო გეგმა, რომელიც ასევე განსაზღვრავს 2011 წლის საორიენტაციო სამუშაო გეგმას.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული სამოქმედო დოკუმენტებით იდენტიფიცირებული ამოცანების განსახორციელებლად კონტროლის პალატამ განსაზღვრა კონკრეტული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია წარმატებისათვის.

მიზანი

საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ინსტიტუტის შესაძლებლობების განსავითარებლად აუცილებელი რესურსების განსაზღვრა და უზრუნველყოფა 2010-2011 წლებისათვის.

საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაუჯობების მიზნით აუცილებელია ინსტიტუციური განვითარების ორი სტრატეგიული კომპონენტით განსაზღვრული საჭიროებების დაკმაყოფილება:

1. პროფესიული შესაძლებლობები;
2. ორგანიზაციული შესაძლებლობები.

1. პროფესიული შესაძლებლობები

პროფესიული შესაძლებლობები მოიცავს პროცესებს, უნარებსა და ცოდნას, რომლებიც აუცილებელია აუდიტორული ფუნქციის შესასრულებლად. ამ ფუნქციის ეფექტიანად და ჯეროვნად განხორციელებისთვის კონტროლის პალატას ესაჭიროება შესაბამისი აუდიტის სამუშაო მეთოდები, სახელმძღვანელოები, პროფესიონალი პერსონალი და აუდიტორული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფა.

კონტროლის პალატაში დასაქმებულ აუდიტორს უნდა გააჩნდეს სათანადო პროფესიული ცოდნა, კომპეტენცია და პიროვნული თვისებები.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონტროლის პალატის წინაშე მდგარი ამოცანებისა და იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც კონტროლის პალატას გააჩნია მათ განსახორციელებლად, მიზანშეწონილია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მოზიდვა და შემდგომ მათი ტექნიკური უნარებისა და პროფესიული კვალიფიკაციის განვითარება. შესაძლებელია, ასევე, სათანადო პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციის მქონე ექსპერტების მოწვევაც, შეზღუდული რაოდენობით.

1.1. ფინანსური აუდიტი

კონტროლის პალატის წინაშე მდგარი ამოცანების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური ფინანსური აუდიტი. 2010 წლის აუდიტის გეგმა, რომელიც ამავე დროს 2011 წლის საორიენტაციო სამუშაო გეგმის საფუძველს წარმოადგენს, ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის ზღვრული ოდენობის 80%-იანი მოცულობით აუდიტის განხორციელებას. ეს უკანასკნელი საკმაოდ შრომატევადი პროცესია. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ფინანსური აუდიტის ახალი მეთოდოლოგიისა და მის საფუძველზე წარმართული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და შესაბამისი საკადრო პერსონალის გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლის პალატა პარტნიორი ორგანიზაციის, შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის დახმარებით, 2010 წლის ბოლომდე მოამზადებს და დაიწყებს ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს პრაქტიკულად გამოყენებას.

აღნიშნული მიზნის წარმატებით მისაღწევად აუცილებელია ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს პროექტის დამუშავება, საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის ეროვნულ სისტემასთან მისი ადაპტირება და ეტაპობრივად დანერგვა. იგულისხმება, რომ აუდიტი სწორედ ამ სახელმძღვანელოს მიხედვით უნდა ჩატარდეს. სახელმძღვანელოს ეტაპობრივი დანერგვის ინსტრუმენტს წარმოადგენს საპილოტო აუდიტი, რომელსაც წარმართავს კონტროლის პალატის აუდიტის ჯგუფი.

ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს დანერგვის გეგმა

პერიოდი	ფაზა	საპილოტო აუდიტის რაოდენობა
01.01.2010-01.05.2010	აუდიტის დაგეგმვა	4
01.05.2010-01.06.2010	ტესტირება	4
01.09.2010-01.11.2010	რეპორტირება	4

გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის ზღვრული ოდენობის 80%-იანი მოცულობით აუდიტის განსახორციელებლად და ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს მიხედვით შესაბამისი აუდიტორული პროცესების წარმართვისათვის, კონტროლის პალატას ესაჭიროება არანაკლებ 160 გამოცდილი აუდიტორი. საქართველოს კონტროლის პალატაში კი დღეისათვის დასაქმებულია 105 აუდიტორი.

განსაზღვრული საჭიროებები:

- 2010-2011 წლებში ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად საჭიროა დამატებით მიღებულ იქნეს მინიმუმ 55 აუდიტორი. აუდიტორთა აღნიშნული რაოდენობა განისაზღვრა კონტროლის პალატის აუდიტორული რისკის შეფასების პოლიტიკასა და 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

რამდენადაც კონტროლის პალატაში ამჟამად დასაქმებული აუდიტორების მნიშვნელოვანი ნაწილი საფუძვლიანად ფლობს სამართლებრივ საკითხებს, აღნიშნული ახალი კონტინგენტის კვალიფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ აუცილებელ პროფესიულ მოთხოვნებს, როგორცაა, ბუღალტრული და აუდიტორული საქმიანობის თეორია და პრაქტიკა.

- ფინანსური აუდიტის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესში, საცდელი (საპილოტო) აუდიტის წარმართვაზე ინტენსიური პროფესიული მეურვეობის უზრუნველსაყოფად, 2010 წლიდან 2011 წლის ჩათვლით პერიოდში საჭირო არიან საერთაშორისო დონის (Audit Senior) აუდიტორები (4 პოზიცია);

- აუდიტის ახალი ფორმებისა და მეთოდების იმპლემენტაციის პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო არიან საერთაშორისო დონის (Audit Senior) აუდიტორები (2 პოზიცია);

1.1.1. IT აუდიტი

ფინანსური აუდიტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს IT აუდიტი. აღნიშნული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად აუცილებელია კონტროლის პალატის მიერ აუდიტის ამ მიმართულების ეტაპობრივი დანერგვა, თუმცა, ეს პროცესი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით სამოქმედო ნაბიჯების გადასადგმელად აუცილებელია 2010 წლიდან IT აუდიტორების (3 პოზიცია) ჯგუფის შექმნა.

1.2. ეფექტიანობის აუდიტი

2012 წლისათვის კონტროლის პალატამ უნდა ჩაატაროს ეფექტიანობის აუდიტი. საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩარჩოში დაგეგმილია, რომ 2012 წლამდე შემუშავდეს ეფექტიანობის აუდიტის

მეთოდოლოგია და წარმართოს აუდიტის საცდელი პროცესები, რათა 2012 წლიდან კონტროლის პალატამ ჩაატაროს სრულფასოვანი ეფექტიანობის აუდიტი.

ზემოაღნიშნული გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია პირველი ჯგუფის მომზადება, რომელიც სპეციალიზებული იქნება ეფექტიანობის აუდიტის დარგში. 2010 წლის განმავლობაში საჭიროა გადამზადებული აუდიტორებისაგან ჩამოყალიბდეს ჯგუფი (10 პოზიცია). აღნიშნული კონტინგენტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სპეციალურ საკვალიფიკაციო (ეკონომისტი, ფინანსური ანალიტიკოსი, სტატისტიკოსი, სოციოლოგი, შემფასებელი და ა.შ.) მოთხოვნებს.

2. ორგანიზაციული შესაძლებლობები

ადამიანური რესურსების მართვა, მათი განვითარება სწავლების სისტემის საშუალებით, IT უზრუნველყოფა.

2.1. ადამიანური რესურსების მართვა

საქართველოს კონტროლის პალატაში შესამუშავებელია HR სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს სპეციალისტების სამსახურში მიღების, მათი განვითარების, მატერიალური უზრუნველყოფის, შენარჩუნებისა და მათი საქმიანობის წარმატებულად წარმართვის უზრუნველსაყოფად საჭირო პრინციპებს, მიდგომებს, შეფასების კრიტერიუმებს და ა.შ.

ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე, როგორც ორგანიზაციის მენეჯმენტის მნიშვნელოვან კომპონენტზე, თანამშრომლობა გათვალისწინებულია შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან კოოპერაციის ჩარჩოებში; რადგან კონტროლის პალატას არ აქვს შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობა, ჩაატაროს ადამიანური რესურსების მართვის კუთხით არსებულ საჭიროებათა სრულყოფილი შეფასება, ამიტომ სათანადო ტექნიკურ დახმარებას საჭიროებს.

აღნიშნული პროცესების ორგანიზებულად წარმართვისათვის კონტროლის პალატას ესაჭიროება ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი (1 პოზიცია).

2.2. სწავლების სისტემა

პერსონალზე ზრუნვა უმთავრესი პრიორიტეტია, რომ კონტროლის პალატაში დასაქმდნენ და მუშაობდნენ მაღალი პროფესიული და პიროვნული მახასიათებლების მქონე აუდიტორები; შედეგად, საზოგადოება მიიღებს უფრო კვალიფიციურ დასკვნებს საჯარო სიკეთის გამოყენების თაობაზე.

იმის მიუხედავად, რომ კონტროლის პალატის აუდიტორთა დიდი ნაწილი ფლობს რევიზიის ჩატარების მრავალწლიან გამოცდილებას, მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილს გააჩნია თეორიული და პრაქტიკული ცოდნა თანამედროვე აუდიტის სფეროში.

სწავლების სისტემის შემუშავება აუცილებელია როგორც კონტროლის პალატის აუდიტორთა არსებული შტატისათვის, ასევე, ახლად დასაქმებული აუდიტორებისათვის, რათა ისინი გაეცნონ იმ მარეგულირებელ და ინსტიტუციურ გარემოს, რომელშიც კონტროლის პალატა ასრულებს თავის მანდატს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კონტროლის პალატის სწავლების გეგმა ორი სახის პროგრამისაგან შედგება: აუდიტორთა სწავლებისა და ახლად დასაქმებულ აუდიტორთა სწავლების პროგრამისაგან.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების შესასრულებლად აუცილებელია ტრენინგების დაგეგმვა და სათანადო კოორდინაციით მათი ორგანიზება. აღნიშნული მიზნის უზრუნველსაყოფად კონტროლის პალატას ესაჭიროება ტრენინგ-მენეჯერი (1 პოზიცია).

2.2.1. არსებულ აუდიტორთა სწავლების პროგრამა

კონტროლის პალატა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ამუშავებს ფინანსური (მათ შორის, შესაბამისობის) აუდიტის სახელმძღვანელოს, რომელიც 2010 წლის ბოლოს მიიღებს დასრულებულ სახეს. აღნიშნული სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული საკითხების საფუძველზე დამუშავებულია მომუშავე აუდიტორთა სწავლების პროგრამა:

1. საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და აერთიანებს შემდეგს:
 - ეთიკური მნიშვნელობის სტანდარტი;
 - დაგეგმვის სტანდარტი;
 - შიდა კონტროლის ეფექტიანობის შეფასების სტანდარტი;
 - ტესტირების სტანდარტი;
 - ანგარიშგების სტანდარტი.
2. საქართველოს კონტროლის პალატის ეთიკის კოდექსი, რომელიც აერთიანებს შემდეგ ეთიკურ პრინციპებს:
 - პატიოსნება;
 - დამოუკიდებლობა და ობიექტურობა;
 - პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;
 - ინტერესთა კონფლიქტი;
 - პასუხისმგებლობა;
 - პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
 - პროფესიონალიზმი;
 - ურთიერთობის ეთიკა.
3. საქართველოს კონტროლის პალატის ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგია.¹
4. საჯარო ფინანსების მართვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ცვლილებები (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვ.).

2.2.2. ახლად დასაქმებულ აუდიტორთა სწავლების პროგრამა

ახლად დასაქმებული აუდიტორების სწავლების პროგრამა პირველ ეტაპზე დაკავშირებულია საჯარო სექტორის მართვის სამართლებრივი რეგულაციების საფუძლიან შესწავლასთან:

1. საერთო სამართლებრივი საფუძვლები (სახელმწიფოებრივი მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და იურიდიული პირების კანონმდებლობის თემატური მიმოხილვა, სამართლებრივი აქტების შესახებ მოკლე კურსი, საკუთრება, პრივატიზება და მიწები - შესაბამისი კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა,

¹ პროგრამის პროექტი იხილეთ №1 დანართში.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიმოხილვა, კონტროლის პალატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები;²

2. სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემა - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი, საბიუჯეტო პროცესი, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტი, სახელმწიფო ხაზინა, სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური ანგარიში, სახელმწიფო საფინანსო კონტროლის შინაარსი - გარე და შიდა აუდიტი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ზოგადი მიმოხილვა, ბალანსირების პრინციპები, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის დახასიათება და ორმაგი ჩაწერის მეთოდი, სამეურნეო ოპერაციების ასახვა ანგარიშებზე და ბალანსში გადატანა, საბიუჯეტო ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების, მატერიალური მარაგების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ხარჯებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში, საკასო და ფაქტობრივი ხარჯების დახასიათება.³

4. საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის სტანდარტები;⁴

5. საქართველოს კონტროლის პალატის ეთიკის კოდექსი;⁵

6. საქართველოს კონტროლის პალატის ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგია.⁶

7. ცვლილებები საჯარო ფინანსების მართვის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვ.).

2.3. IT უზრუნველყოფა

თანამედროვე აუდიტორული პროცესების ჯეროვნად დაგეგმვასა და წარმართვას, პროფესიული განათლების გარდა, ესაჭიროება სათანადო ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, რომელზედაც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ორგანიზაციის მიერ დროის, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების ეფექტიანად გამოყენება, დასახული მიზნების სრულფასოვად მიღწევა და საზოგადოების ფართო ფენებამდე და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებამდე დაყვანა. პროფესიული სწავლების პარალელურად, კონტროლის პალატამ უნდა მოიპოვოს, დაამუშაოს და დანერგოს ადამიანური რესურსებისა და თანამედროვე აუდიტორული პროცესების მართვის ტექნოლოგიები.

ამასთან, პალატის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ მაღალპროფესიულ კადრებს ჰქონდეს ადეკვატური სამუშაო პირობები, რაც თავის მხრივ, მოიცავს ტექნოლოგიურ და პროგრამულ უზრუნველყოფას.

აღნიშნული მიმართულებით კოორდინირებული და ორგანიზებული მუშაობის წარმართვის მიზნით, კონტროლის პალატას ესაჭიროება IT მენეჯერი (1 პოზიცია).

² დანართი №2;

³ დანართი №2;

⁴ ნაწილი 2.2.2.1., გვ., მე-6;

⁵ ნაწილი 2.2.2.1., გვ., მე-6;

⁶ პროგრამის პროექტი მოცემულია №1 დანართში.

2.3.1. ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმა 2010

დასახელება	რაოდენობა	ცალის ფასი დღგ-ს ჩათვლით	სულ ფასი
ლეპტოპი	90	700\$	63 000\$
მონიტორი L1950g LSD	90	224.2\$	20 178\$
პროცესორი dx7500 mt	90	451\$	40 590\$
UPS APC BACK	150	118\$	17 700\$
პრინტერი HP M1522n	50	360\$	18 000\$
პრინტერი HP clj CM1312	15	450\$	6750 \$
სკანერი HP 7650	15	863\$	12 945\$
სერვერი hp Proliant DL350	4	6 400\$	25 600\$
ანტივირუსი kaspersky	250	25\$	6250\$
ინტერნეტის UPS 865w	6	565\$	3 390\$
სერვერის UPS 1400w	5	1800\$	9000\$
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის დაქსელვა სერვერის მონტაჟით			10 000\$
სულ			213 225\$

2.3.2. პროგრამული უზრუნველყოფის გეგმა 2010-2011

პროგრამა TEAMMATE

წელი	მომხმარებლების რაოდენობა	ლიცენზიის ღირებულება
2011	11-15	\$45250
	ძირითადი ლიცენზია	TeamRisk, TeamSchedule, TeamMate EWP, TeamMate TEC, TeamCentral
	სატ.მხარდაჭერა სისტემის განახლება	პირველი 12 თვე შედის ლიცენზიის ღირებულებაში
	წლიური მხარდაჭერა	ლიცენზიის ღირებულების 20%
	კონსულტაციები და სწავლება	1 დღე - \$3,000 + ხარჯები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონტროლის პალატის პროფესიული და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების მიზნით, 2010-2011 წლებში კონტროლის პალატას ესაჭიროება სპეციალისტთა შემდეგი კონტინგენტი:

სპეციალისტი	რაოდენობა
აუდიტორი (ფინანსური აუდიტი)	55
აუდიტორი (ეფექტიანობის აუდიტი)	10
აუდიტორი (IT აუდიტი)	3
მაღალკვალიფიციური აუდიტორი (Audit Senior)	4
აუდიტის ხარისხის მენეჯერი (Audit Quality Assurance Manager)	2
სტატისტიკოსი	1

ადამიანური რესურსების მენეჯერი	1
ტრენინგ-მენეჯერი	1
IT მენეჯერი	1
სულ	78

დანართი №1

არსებულ აუდიტორთა სწავლების პროგრამის პროექტი

საკითხი	თემა	სთ
<i>ნაწილი 1 – შესავალი</i>		
1.1	შესავალი საჯარო სექტორის ორგანიზაციათა აუდიტში (ISSAI 100-400) საჯარო სექტორის ორგანიზაციებში აუდიტის პროცესი, მიზნები და ამოცანები; შედარებითი ანალიზი კერზო აუდიტთან (ISSAI 1000, 1200, 4000, 4100, 4200)	3
1.2		3
<i>ნაწილი 2 - აუდიტის წინასწარი პროცედურები</i>		
2.1	ეთიკის კოდექსი, ლიმას დეკლარაცია, მექსიკის დეკლარაცია (ISSAI 1, 10, 30)	2
2.2	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები და რეგულაციების კონცეპტუალური მიმოხილვა (ISSAI, ISA, GAAS)	4
2.3	გარიგების წერილი (ISSAI 1210)	1
<i>ნაწილი 3 - სტრატეგიული დაგეგმვა</i>		
3.1	აუდიტის დაგეგმვის სტრატეგიული კონცეფციები (ISSAI 1300)	3
3.2	აუდიტორული არსებობა (ISSAI 1320)	1
3.3	ორგანიზაციისა და მისი გარემოს შესწავლა (ISSAI 1315)	2
3.4	სხვათა მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება (ISSAI 1610)	2
3.5	აუდიტორული მიდგომის განსაზღვრა (ISSAI 1402)	1
3.6	სამუშაო დოკუმენტები	
3.6.1	არსებობის განსაზღვრა (ISSAI 1320)	0.5
3.6.2	წინა წლების მნიშვნელოვან შედეგებსა და რეკომენდაციებზე ობიექტის მიერ მიღებული ზომების შეფასება	0.5
3.6.3	მთავარი ცხრილი (Lead Schedule)	0.5
3.6.4	წინასწარი ანალიტიკური მიმოხილვის ფორმა (ISSAI 1520)	0.5
3.6.5	შიდა აუდიტის მიმოხილვის ფორმა (ISSAI 1610)	0.5
3.6.6	აუდიტის კომიტეტის კითხვარი (ISSAI 1265)	0.5
3.6.7	თაღლითობის კითხვარის ფორმა (ISSAI 1240)	0.5
3.6.8	შიდა კონტროლის კითხვარი (IT კონტროლების გარდა) (ISSAI 1315, 1265)	0.5
3.6.9	კომპიუტერული (IT) კონტროლების კითხვარის ფორმა (ISSAI 5310)	0.5
3.6.10	ობიექტის უწყვეტი ფუნქციონირების შეფასების ფორმა (ISSAI 1570)	0.5
3.6.11	სხვა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება (ISSAI 1600)	0.5
3.6.12	ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება (ISSAI 1620)	0.5
3.6.13	ფინანსური ანგარიშგების დონეზე არსებითი უზუსტობის არსებობის რისკის ფორმა (ISSAI 1315)	0.5
3.6.14	აუდიტის ზოგადი სტრატეგიის ფორმა (ISSAI 1315)	0.5
3.6.15	აუდიტის გუნდის მოსაზრებათა შემაჯამებელი დოკუმენტის ფორმა (ISSAI 1315)	0.5
<i>ნაწილი 4 - დეტალური დაგეგმვა</i>		

<u>4.1</u>	დეტალური დაგეგმვის კონცეფცია (ISSAI 1330)	2
<u>4.2</u>	აუდიტორული შერჩევა და შერჩევის მეთოდები (ISSAI 1530)	3
<u>4.3</u>	სამუშაო დოკუმენტები	
<u>4.3.1</u>	აუდიტის კომპონენტთა სისტემების დოკუმენტირების ფორმა (ISSAI 1330)	3
<u>4.3.2</u>	აუდიტის კომპონენტთა საკვანძო კონტროლების დოკუმენტირების ფორმა (ISSAI 1330)	3
<u>4.3.3</u>	აუდიტის პროგრამები (ISSAI 1330)	3
<u>4.3.4</u>	აუდიტორული შერჩევის დოკუმენტირების ფორმა (ISSAI 1530)	1
<i>ნაწილი 5 – აუდიტორული სამუშაოები</i>		
	აუდიტორული მტკიცებულების კონცეფცია, მოპოვება და შეფასება (ISSAI 1500, 1501, 1505)	
<u>5.1</u>		2
<u>5.2</u>	შაქმიანობის დაწყება - საწყისი ნაშთები (ISSAI 1510)	2
<u>5.3</u>	ბუღალტრული შეფასებების აუდიტი (ISSAI 1540)	2
<u>5.4</u>	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (ISSAI 1560)	2
<u>5.5</u>	სპეციალური მითითებები მცირე ორგანიზაციათა აუდიტისათვის გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება ფინანსური	1
<u>5.6</u>	ანგარიშგების აუდიტში (ISSAI 5010-5040)	1
<u>5.8</u>	სამუშაო დოკუმენტები	
<u>5.8.1</u>	აუდიტორულ მტკიცებულებათა შეგროვების, შეფასებისა და კონტროლის ფორმა	0.5
<u>5.8.2</u>	აუდიტის კომპონენტთა დონეზე მთავარი ცხრილის ფორმა აუდიტორულ პერიოდში შიდა კონტროლის ეფექტურობის ტესტირების ფორმა	0.5
<u>5.8.3</u>		1.5
<u>5.8.4</u>	დამოუკიდებელი აუდიტორული პროცედურების ფორმა	1
<u>5.8.5</u>	დამოუკიდებელი ანალიტიკური პროცედურების ფორმა	1.5
<u>5.8.6</u>	წარდგენის კითხვარის ფორმა	0.5
<u>5.8.7</u>	ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია (ISSAI 1580)	0.5
<u>5.8.8</u>	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების ფორმა (ISSAI 1560)	0.5
<u>5.8.9</u>	საბოლოო ანალიტიკური მიმოხილვის ფორმა	1
<u>5.8.10</u>	აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის ფორმა	1
<u>5.8.11</u>	აუდიტორული პროცედურების შემაჯამებელი დოკუმენტი (ASM)	1
<i>ნაწილი 6 - აუდიტორული დასკვნა და შედეგების მოხსენება</i>		
<u>6.1</u>	რეკომენდაციების წერილი ობიექტის ხელმძღვანელობას აუდიტორული პროცედურების შედეგების შეფასება და აუდიტორული დასკვნის ფორმირება (ISSAI 1700, 1705, 1706, 1710)	0.5
<u>6.2</u>	აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია (ISSAI 1720)	4
<u>6.3</u>		0.5
<u>6.4</u>	აუდიტორული დასკვნა სპეციალური დანიშნულების მქონე აუდიტორულ გარიგებებზე (ISSAI 1800, 1805, 1810)	1
<u>6.5</u>	სამუშაო დოკუმენტები	
<u>6.5.1</u>	რეკომენდაციების წერილის ფორმა	0.5
<u>6.5.2</u>	აუდიტის პროცესში აღმოჩენილი მონეტარული სხვაობების შეფასებისა და ექსტრაპოლაციის ფორმა	1
<u>6.5.3</u>	მომავალი პერიოდის აუდიტში გასათვალისწინებელი საკითხების დოკუმენტირების ფორმა	0.5
<i>ნაწილი 7 - აუდიტის დოკუმენტაცია და ხარისხის კონტროლი</i>		
<u>7.1</u>	აუდიტის დოკუმენტაციის კონცეფცია, მიზნები და მეთოდები (ISSAI 1230)	1
<u>7.2</u>	აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის კონცეფცია, მიზნები და მეთოდები (ISSAI 1220)	2
		10

ახლად დასაქმებულ აუდიტორთა სწავლების პროგრამის პროექტი

1. საერთო სამართლებრივი საფუძვლები (20 საათი)

1.1. სახელმწიფოებრივი მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და იურიდიული პირების კანონმდებლობის მიმოხილვა:

საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი, სხვა შესაბამისი კანონმდებლობა, „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი (2 ლექცია, თითოეული - 2 საათი);

1.2. სამართლებრივი აქტების შესახებ მოკლე კურსი:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნაწილი, სხვა კანონმდებლობა (1 ლექცია, 2 საათი);

1.3. საკუთრება, პრივატიზება და მიწები (შესაბამისი კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა):

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიწებისა და პრივატიზების შესახებ არსებული კანონმდებლობა (1 ლექცია, 2 საათი);

1.4. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მიმოხილვა:

სამოქალაქო კოდექსიდან მოკლე კურსი გარიგებებსა და ხელშეკრულებებზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, დებულება და სხვა კანონქვემდებარე აქტები (2 ლექცია, თითოეული - 2 საათი);

1.5. კონტროლის პალატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი, კონტროლის პალატის რეგლამენტი (2 ლექცია, თითოეული - 2 საათი);

1.6. საგადასახადო, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კანონმდებლობის ზოგადი საფუძვლები:

საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სხვა შესაბამისი კანონმდებლობა (2 ლექცია, თითოეული - 2 საათი).

2. სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემა (20 საათი)

კურსის მიზანია მსმენელებს გააცნოს საბიუჯეტო სისტემის არსი, საბიუჯეტო პროცესი, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მის განხილვას, დამტკიცებას, აღსრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლის ეტაპებს. კურსის მიმდინარეობისას მსმენელებს მიეწოდებათ ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით, თუმცა, ამავე დროს, მოცემული იქნება ინფორმაცია საბიუჯეტო სისტემის სხვა დონის ბიუჯეტებსა და მათ ურთიერთობაზე სახელმწიფო

ბიუჯეტთან, საბიუჯეტო სისტემის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების ჭრილში. კურსის მიმდინარეობისას განხილული იქნება ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შემადგენლობა და მათი მნიშვნელობა ბიუჯეტის სტრუქტურაში, დახასიათებული იქნება ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავი დაწესებულებების ურთიერთობები. განხილული იქნება ბიუჯეტის აღსრულებისა და აღსრულებაზე კონტროლის საკითხები.

კურსი მოიცავს შემდეგ სალექციო თემებს:

- 2.1. საბიუჯეტო სისტემა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიზნები (1 საათი);
- 2.2. საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები (1 საათი);
- 2.3. საბიუჯეტო პროცესი - მისი შემადგენელი ნაწილები (2 საათი);
- 2.4. ბიუჯეტის შემოსულობები (1 საათი);
- 2.5. ბიუჯეტის გადასახდელები (1 საათი);
- 2.6. საბიუჯეტოს კლასიფიკაცია (1 საათი);
- 2.7. ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტი; მისი მომზადების, წარდგენისა და განხილვის წესი (2 საათი);
- 2.8. სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადებისა და საქართველოს პარლამენტში წარდგენის წესი (2 საათი);
- 2.9. სახელმწიფო ბიუჯეტის საქართველოს პარლამენტში განხილვისა და დამტკიცების წესი (1 საათი);
- 2.10. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების აღსრულების წესი (1 საათი);
- 2.11. სახელმწიფო ხაზინა, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და წესი (2 საათი);
- 2.12. ხაზინის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება (1 საათი);
- 2.13. სახელმწიფო სესხები და გარანტიები (1 საათი);
- 2.14. სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური ანგარიში და მისი შინაარსი (1 საათი)
- 2.15. სახელმწიფო საფინანსო კონტროლის შინაარსი - გარე და შიდა აუდიტი (2 საათი);
- 2.16. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური ანგარიშებისა და ანგარიშგების შემოწმება და სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშის დამტკიცების წესი (1 საათი);

3. ბუღალტრული აღრიცხვა (20 საათი)

- 3.1. ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ზოგადი მიმოხილვა (2 საათი);
- 3.2. ბალანსირების პრინციპები (2 სთ);
- 3.3. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის დახასიათება და ორმაგი ჩაწერის მეთოდი (2 სთ);
- 3.4. სამეურნეო ოპერაციების ასახვა ანგარიშებზე და ბალანსში გადატანა (2 სთ);
- 3.5. საბიუჯეტო ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების აღრიცხვა (2 სთ);
- 3.6. საბიუჯეტო ორგანიზაციების მატერიალური მარაგების აღრიცხვა (2 სთ);
- 3.7. საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვა (2 სთ);
- 3.8. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში. საკასო და ფაქტიური ხარჯების დახასიათება (2 სთ);

3.9. საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯების აღრიცხვა (2 სთ);

3.10. საბიუჯეტო ორგანიზაციების დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა (2 სთ);